წელიწადი პირველი ფასი 7 კაპ. კვირა, 20 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 173

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი... პირველ გვერდზე ... ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.


ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა

## 1916 წ. „საქართველო“ 1916 წ.

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

### პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

---

კნ. ნინო დავითის ასული ციციშვილისა, კნ. მარიამ გიორგის ასული მაჩაბლისა შვილებით, კნ. ანასტასია გიორგის ასული ვაჩნაძისა ქმრითა და შვილებით, კნ. ანასტასია გიორგის ასული ერისთავისა ქმრითა და შვილებით, და თავადი ივანე გიორგის ძე ციციშვილი მეუღლით და ვაჟიშვილითურთ მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას პირველი დედის, ხოლო დანარჩენნი დიდი დედის

**კნეინა ეფემია სოლომონის ასულის**

## მაჩაბლისას

პანაშვიდი 19-ს საღამოს 6 საათზე, ხოლო გასვენება ბინიდან (გიორგის მოედანი № 8) ამ თვის 20-ს, დილის 10 საათზე ნორაშენის ეკლესიაში, დაკრძალვა ვერის გრიგორიანთა სასაფლაოზე. (1—11—1)

---

**შალვა გრიგოლის ძე ქართველიშვილი** მწუხარებით აუწყებს მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 19 ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა მისი საყვარელი დედა

**ელისაბედ გრიგოლის ასული**

## ქართველიშვილი

პანაშვიდები კვირას, 20 ქრისტეშობისთვეს დილის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე, საკუთარს ბინაზე, წყნეთის ქუჩა, № 30.

დაკრძალვა მიცვალებულისა, **ორშაბათს 21 ქრისტეშობისთვეს** კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ დილის 9 საათზე, წირვა და ანდერძი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

---

პირველი წელი — პირველი წელი

მიიღება ხელის მოწერა

„საქართველოს“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

**კაზმული და სამხატვრო კრებული**

## „მერანი“

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველოს“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

---

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**ორშაბათს 21 ქრისტეშობისთვეს 1915 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ღღენი ჩვენი ცხოვრებისა

დრ. 4 მოქ. ლ. ანდრეევისა. თარგმ. ალ. იმედაშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., აბაშიძე ვასო., იმედაშვილი ალ., იმნაძელი გიორგი, მგალობლიშვილი, ჟუჟიძე იოსებ, სარაული კ., მ. ჭიაურელი.

ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. — დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოება.

მორიგი წევრი გამგეობისა ი. გედევანიშვილი.

შემდეგი წარმოდგენა ორშაბათს, 30 ქრისტეშობისვეს მზადდება.

(2—19—2)

---

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

ე ქ ი მ ი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ მ ა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისაძ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

ქ. გ ო რ შ ი

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

## სტუდენტი-ფილოლოგი

პეტროგრადის უნივერსიტეტისა

**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა **კლასისათვის.** სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.

**საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.**

პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.

---

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

19 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** 18 ქრისტეშობისთვე. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ზალაიმს სამხრეთ - აღმოსავლეთით რუსებს რაზმებმა ხელით სასროლი ყუმბარები გადაჰყარეს მტრის სანგრებში და შემდეგ უვნებლად დაბრუნდნენ განთიადისას. დვინსკის ფრონტზე, პონევიაჟის რკინის გზის გასწვრივ, პატარ-პატარა შეტაკება ხდება. მდ. პრიპიატის სამხრეთით, მდგომარეობა უცვლელია. ხოლო მის იქით ადგილ-ადგილ მკაცრი ბრძოლა ხდება.

**კავკასიის ფრონტი.** ოსმალთა ცდილობა, რომ მდ. არხავე გადმოელახნათ ხოფის სამხრეთით, სულ ადვილად იქნა შეჩერებული. სოფ. არდოსის რაიონში რუსებმა გაჰრეკეს ოსმალთა მუშები, რომელნიც პოზიციებს ამაგრებდნენ. სპარსეთში უშნუეს აღმოსავლეთით ქურთებთან მოხდა შეტაკება. მათ ზურგს უმაგრებდნენ ოსმალთა ქვეითი ჯარისკაცები. სოფ. სირკონთან, ქამადანის სამხრეთით, რუსთა და სპარსელ ჟანდარმთა შორის სროლაა გაჩაღებული. ეს ჟანდარმები უკანასკნელად გადავიდნენ მტრის მხარეზე.

**პიატიგორსკი.** 17 ქრისტეშობისთვე. კისლოვოდკში სამკურნალოდ მოვიდა გენერალ-ადიუტანტი რუზსკი.

**ლონდონი.** 18 ქრისტეშობისთვე. გუშინ 16 ჩვენი ჰაეროპლანი თავზე დაესხა სადგურს კომინს და მის მახლობლად გაშენებულს სახელოსნოებს, ხოლო 10 ჰაეროპლანმა ბერველში ყუმბარები დაუშინა მტრის ჰაეროდრომს. ორთავედგან ზარალი დიდი მივაყენეთ და ჰაეროპლანებიც უვნებლად დაგვიბრუნდნენ. მთელი ღამის განმავლობაში მტერმა ძლიერი არტილერიის ცეცხლი გაუჩინა ჩვენს სანგრებს ფრიკურის სამხრეთით. რამდენიმე გერმანელი შეცვივდა კიდეც წინა წყების თხრილებში, მაგრამ მალე ყველანი უკანვე გამორეკილ იქმნენ.

**რომი.** 18 ქრისტეშობისთვე. ლაგარინოს ველეში მტერმა არა ერთხელ მოიტანა იერიში, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქმნენ. რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. კოლდილანოს რაიონში მტერი ამაოდ შეეცადა იერიში მოეტანა ჩვენზე. ყველანი ცეცხლით გავფანტეთ.

**კოპენჰაგენი.** 17 ქრისტეშობისთვე. გერმანელი გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ათ ფენიგამდე რკინის ფული გამოუშვან... აღმოსავლეთ პრუსიაში ახალი რკინის გზები გაჰყავთ.

**ლონდონი.** 17 ქრისტეშობისთვე. დღეს დილით სოლუნის მცხოვრებნი დაფრთხნენ, რადგანაც ქალაქის თავზე სამი „ტაუბე“ გამოჩნდა. სამთავეს ძლიერი სროლა აუტეხეს, მაგრამ ვერა დააკლეს რა, რადგანაც მეტად მაღლა ფრინავდნენ. მათ ფრანგი მფრინავნი დაედევნენ.

**ტულონი,** 18 ქრისტეშობისთვე. აქ კრეისერით მოიტანეს სერბთა ხაზინა, რასაც პარიზში გაჰგზავნიან. ნიშილან სოლუნამდე მათ ვიწრო ლიანდაგ-წამ ბაგამოიარეს, ვიწრო ბილიკებით ეარნი დრო-ტყეში, გზად ბარგი-ბარხანა გადაუყრიათ.

ბალკანეთში.

**ათინა,** 18 ქრისტეშობისთვე. კუნძული კასტელო-რიცო დაიჭირეს ფრანგის ჯარებმა, რიცხვით 500 კაცმა. მათ თან ახლავსთ არტილერია. საბერძნეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა მათ. 28 ათას გამოქცეულ სერბიელიდან 25 ათასი საფრანგეთში წავიდა, ხოლო სამი ათასი სოლუნშივე დარჩა.

**ათინა,** 18 ქრისტეშობისთვე. გერმანელი მექანიკები, რომელნიც სმირნაში მუშაობდნენ წყალქვეშა ნავების ჩასაშვებად, ამ 25 დღის წინად დასტოვეს სმირნა და დღემდის არ იცოდნენ, სად და რისთვის წავიდნენ. ახლა აღმოჩნდა, რომ უეცრივ ბუდრუგში მოსულან ისინი (კოსოს ყურეში) და ახლა აქ აიდინის რკინის გზით მოტანილ დაშლილს წყალქვეშა ნავების აგებას შეუდგნენ.

**ბუქარესტი,** 17 ქრისტეშობისთვე. სკუდულლისმა განუცხადა მოკავშირეებს: რადგანაც ინგლის-საფრანგეთის ჯარები ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფება, მაშასადამე, ბულგარებსა და გერმანელებსაც შეუძლიანთ ასევე მოიქცენო. ამის შესახებ ბულგართა ოფიციოზი სწერს: თუმცა ბულგარეთს არა სურს ვისიმე ნეიტრალობის დარღვევა, მაგრამ თუ კი გარემოებამ მოითხოვა ინგლის-ფრანგთაგან გავანთავისუფლოთ საბერძნეთის ტერიტორია, რათა უზრუნველყოფილი ვიყოთ, ბულგარეთი სრულის შეგნებით მიმართავს უკიდურეს ზომებს, თუმცა სულით და გულით მოსურნე იქნება მოერიდოს საბერძნეთთან კონფლიქტს. მაკედონიაში ბრძოლის საქმე ჯერ-ჯერობით შეჩერებულია, მაგრამ ჩვენ მოთმინებით ვართ აღჭურვილი, ვიცდით, იარაღს მხოლოდ მაშინ დავდებთ, როდესაც ომს გავათავებთ, ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი.

**პარიზი,** 17 ქრისტ.. აღმოსავლეთი ფრონტი. 16 ქრისტეშობისთვეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ბულგართა ბანაკში. 15—16 ქრისტ. დარდანელში ორთავე მხარეს სასტიკი საარტილერიო სროლა იყო. ოსმალნი განსაკუთრებით უშენდენ სედილბახრის გასწვრივ ფრანგთა თხრილების ხაზს. დილით 15 ქრისტ. ფრანგთა კრეისერმა ზარბაზნები დაუშინა ოსმალთა აზიის სანაპიროებს. ნაშუადღევს გამოჩნდა მათი ჰაეროპლანი, მაგრამ ჩვენებმა უკან გააბრუნეს.

**სოლუნი,** 18 ქრისტ. გერმანელთა 4 ჰაეროპლანი დაფრინავდა მოკავშირეთა ბანაკისა და ქალაქის თავზე 3 ათას მეტრის სიმაღლეზე. ჩამოაგდეს 7 ყუმბარა სროლა აუტეხეს. მფრინავნი გაბრუნდნენ უვნებლად.

**ცეტინიე,** 18 ქრისტ. სამხრეთ ფრონტზე მტრის ... ავსტრიელებმა აიღეს და გამაგრდნენ რამკოვის მთაზე. ლოვჩენის ფრონტზე მტრის იერიში მოვიგერიეთ და საგრძნობელი ზარალიც მივაყენეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ფრონტი.

**რიგაში**

12 ქრისტეშობისთვიდან რიგაში მთავარმა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ მოქმედება განაახლა.

**ახალი ლიანდაგი.**

პონოვეჟსა და კოვნოს შუა გერმანელებს ახალი რკინის გზის ლიანდაგი გაჰყავთ.

**მინსკი**

ლიტვაშიაც ისეთი წესები შემოიღეს გერმანელებმა, როგორც პოლონეთში. სიკვდილით სჯიან ტყვეების დამმალველს ან გაპარვაში ხელის შემწყობთ. დააწესეს სამხედრო გადასახადი, სულზე სამი აბაზი.

**კეკაუსთან.**

კეკაუსთან ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით.

**ბაბიტის ტბასთან.**

გერმანელებმა ბაბიტის ტბასთან ახალი ზარბაზნები სწრაფად მოიტანეს და მაღლობებზე გამართეს.

ბაბიტის ტბასთან გერმანელებმა შემოუტიეს. აქ მათ დივიზიანახევარი მაინც ჰყავდათ. რუსებმა მოიგერიეს.

**მაკენზენის ჯარი.**

ნეიტრალ სახელმწიფოთა გაზეთების ცნობით სერბეთის ასპარეზიდან მაკენზენის ჯარის ნაწილი გალიციის მხარეს გადმოუყვანიათ. უმთავრესი ბრძოლის ასპარეზი სამხრეთ რუსეთია.

**რიგა და დვინსკი.**

ს. დიმიტრიევის აზრით, რიგისა და დვინსკის მიდამოებში მოსალოდნელია ძლიერი შემოტევა.

**ბალკანეთი.**

**სკუტარში.**

„პტი ჟურნალ“-ი იტყობინება: სერბეთის პრინცი ალექსანდრე მთავარი შტაბით სკუტარიში იმყოფება.

**სერბეთის მეფე.**

მეფე პეტრე, რამდენიმე მინისტრი და დეპუტატები ბარინდიზში მივიდნენ.

**სერბეთის ჯარი.**

დურაცოში სერბიელთა ასი ათასი ჯარისკაცია თავმოყრილი.

**სპარსეთში.**

**გერმანელები სპარსეთში.**

გერმანეთის ბანკები სპარსელ ვაჭრებს ხალისიანად სთავაზობენ სესხს. თუ მოვალე გადახდას ვერ შესძლებს, ყოველგვარ შეღავათს აძლევენ. სპარსეთის სოვდაგრებს 1909—1914 წლამდე სტამბოლში არსებულ გერმანეთის ბანკისა ჰმართებიათ 45 ათასი ოსმალური გირვანქა.

გერმანელმა „სავაჭრო აგენტებმა“, „მოგზაურებმა“ სპარსეთში სულ მცირე ხნის განმავლობაში გაიჩინეს მყუდრო ბუდე თეირანსა, თავრიზსა, ყაზვინსა, მეშედსა, ქამადანსა, ისპაჰანსა, შირაზსა, ბუშირსა და სხვაგან. აქედან ყოველგვარ ცნობებს ჰკრეფდნენ.

მარტო ერთს ვილტერ მერკჰაუზის ფირმას სპარსეთში 15 ათასი რევოლვერი შეუტანია.

# უკანასკნელი ფოსტა

**შუმსკის აზრი.**

„ბ. ვ.“-ში შუმსკი ნაპოლეონის და ეხლანდელს შემოტევას ადარებს. იგი ამბობს: ვილნოდან მოსკოვამდე ნაპოლეონმა საშუალოთ დღეში 10 ვერსი გამოიარა. მაგრამ მაშინ ასეთი მძიმე ზარბაზნების თრევაც არა სჭირდებოდათ. დღევანდელი ნაბიჯით რომ იარონ გერმანელებმა დღეში ვერსნახევარი, მოსკოვამდე მისვლას 12—14 თვე მაინც დასჭირდებათ. ჩრდილოეთის გზით რომ ვიანგარიშოთ, სადაც მანძილი უფრო ნაკლებია ე. ი. 400 ვერსზე ცოტა მეტი, მაშინ ამ გზას 8—10 თვეზე ადრე ვერ გაივლიდნენ.

გერმანელებმა ზაფხულის კამპანია 18 აპრილს დაიწყეს და ენკენისთვეში დაამთავრეს. რაც უნდა ფეხი ააჩქარონ გერმანელები დღე-ღამეში 3—5 ვერსზე მეტს მაინც ვერ გაივლიან.

აღმოსავლეთ პრუსიიდან და სამხრეთიდან გალიციაში მხოლოდ 200 ვერსის გამოვლა შესძლეს მთელი ზაფულის განმავლობაში, თუმცა აქ ხელსაყრელ პირობებში მოქმედებდნენ, რადგანაც რუსის ჯარი წინდაწინ განზრახულ ადგილებისაკენ იხევდა.

**გერმანეთის მერმისი.**

ვილჰელმის მახლობელი მეგობარი ალბერტ ბალინი „ფოსიშე ცაიტუნგ“-ში სწერს: მომავალ სამშვიდობო კონფერენციის მონაწილენი უნდა შეეცადნენ დაარღვიონ ევროპის სახელმწიფოთა გამძაფრებული მისწრაფება შეიარაღებისა, ან შეიარაღება ძალიან შეამცირებინონ. ომის მერე ბევრი ქვეყანა ეკონომიურად გათახსირდება. ეკონომიური ბრძოლა გერმანეთზე დიდ გავლენას იქონიებს. ბაღდადსა და ბერლინს შუა პირდაპირი მიმოსვლის გამართვა მეორე ხარისხოვანი მოვლენაა. გერმანეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ ნავოსნობას და მისი მერმისი უფრო ევროპაშია, ვიდრე მახლობელ აღმოსავლეთში.

**ახალი მოგონება.**

რუსეთის ასპარეზზე, დიდი თოვლობის გამო სამხედრო მოქმედება ფერხდება. ამის გამო გერმანელებს ახალი საშუალებისთვის მიუმართავთ: გზებზე გაჰყავთ საგანგებო ბატალიონები, რომელნიც მუდამ გზის პირად არიან. მათ საგანგებო მანქანები აქვთ, რომელთაც ავტომობილი ამოძრავებს და გზებსა ჰხვეტს.

**საფრანგეთის ასპარეზზე.**

„აფთონბლადეტ“-ის სიტყვით, გერმანელები დიდძალ ჯარს ჰგზავნიან საფრანგეთის ასპარეზისაკენ. ამ ჯარის მთავარსარდლად დაუნიშნავთ ავსტრო-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრე. ეხლა საფრანგეთის ასპარეზზე სამი ტახტის მემკვიდრეა სარდლად: გერმანეთისა, ავსტრიისა და ბავარიისა.

**რუშჩუკში.**

რუშჩუკის ის ნაწილი, რომელიც გადასცქერის რუმინეთის ჯურჯას ელექტრონულ პროჟექტორებით არის მოწყობილი, საიდანაც დუნაიას ანათებენ. მდინარის პირად უთვალავი ზარბაზნები სდგას, უმეტესად 12 დიუმიანი. მეზარბაზნეებად გერმანელები არიან. ქალაქის მეციხოვნე ჯარიც გერმანელებისაგან შესდგება.

**საბერძნეთში.**

ათინის გაზეთებში სწერენ: საკმარისია ბულგარელთა მცირე ჯარი გადმოსცდეს საბერძნეთის მიჯნებს, რომ საბერძნეთმა ბულგარეთს ომი გამოუცხადოსო.

---

ათინაში მყოფმა გერმანეთის დესპანმა საბერძნეთის მთავრობას განუცხადა: რადგანაც მოკავშირენი სალონიკში მაგრდებიან, გერმანეთი საბერძნეთის ნეიტრალობას ანგარიშს აღარ გაუწევსო.

---

ხმა დადის, საბერძნეთი გერმანეთსაც ისეთსავე უპირატესობას მისცემს, რაც მოკავშირეებს მისცაო.

**სპარსეთი**

სპარსეთში მყოფი გერმანელი დესპანი, პრინცი რეისი სტამბოლს მივიდა და ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვა, სპარსეთში ჯარი გაგზავნეთო.

**ბალკანეთში**

ბულგარელებმა ელბასანს მიაღწიეს. ავსტრიის ჯარი ფილიპოპოლთან სდგას.

**სულთანისა და ვილჰელმის შეხვედრა**

ამბობენ, სულთანი ადრიანოპოლში გაემგზავრა, სადაც ვილჰელმს შეხვდებაო.

**ზავის გარშემო.**

ჟენევის გაზეთების ცნობით, გერმანეთის კანცლერი საგანგებოდ ვენაში მიდის, თან მიაქვს დაწვრილებითი გეგმა ზავის პირობებისა. ბურიანთან მოლაპარაკების შემდეგ ამ გეგმას გამოამჟღავნებენ.

# ბრძოლის ველზე

ამ ათიოდე დღის წინად ჩვენ ვწერდით, რომ სრულიად უსაბუთო იყო ზოგიერთების იმედი, ვითომც საბერძნეთის მთავრობა ბულგარეთს ნებას არ მისცემდა საბერძნეთის ტერიტორიაზედ შემოსულიყო სალონიკის გარშემო გამაგრებულ ფრანგ-ინგლისელთა ჯარებს ბულგარების შედგომას საბერძნეთის საზღვრის წინაშე და დროებით სამხედრო ოპერაციის შეწყვეტას მოკავშირეთა სადესანტო ჯარის წინააღმდეგ მოკავშირეთა დიპლომატია თავის სასარგებლოდ ხსნიდა დ ამოწმებდა, რომ საბერძნეთის მთავრობამ თავის ფრონტი შესცვალა საფრანგეთ-ინგლისის სასარგებლოთ.

ყველა ამის შესახებ გამოთქმული ჩვენი ეჭვები გამართლდა და სწორედ გარემოებამ, ისეთი მიმდინარეობა მიიღო, როგორც ეს ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი და ნათქვამი. დღეს თვით საბერძნეთის მთავრობა, საჯაროდ ოფიციალად აცხადებს თავის პრემიერის პირით, რადგანაც საბერძნეთის ტერიტორიაზე სდგას ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ჯარი, ცხადია, რომ ამის უფლება გერმანეთ-ბულგარეთის ჯარსაც უნდა ჰქონდესო.

ამავე დროს ბულგარეთის ოფიციოზი აცხადებს, ბულგარეთი მეზობელ სახელმწიფოთა ნეიტრალობას დიდ პატივსა სცემს, მაგრამ თუ გარემოებამ მოიტანა, იგი იძულებული იქნება ეს დაარღვიოს საზოგადოდ და კერძოდ საბერძნეთის მიმართაც და თავისი შეიარაღებული ძალა ინგლის-საფრანგეთის ჯარს შეასიოს საბერძნეთის მიწა-წყალზეო. ამგვარად, საბერძნეთიც და ბულგარეთიც საკითხს ერთნაირად უყურებენ. ეს დეკლარაცია ნაგვიანევი აღსარება და დასტურია იმისა, რაც ნამდვილად მოხდა ამ რამდენიმე დღის წინად ის ყრუ ცნობები, რომელიც ჩვენამდე მოდიოდა საბერძნეთის ასპარეზის შესახებ, ამის საკმაოდ ცხად ჰყოფენ საბერძნეთმა ერთნაირი უფლება უპირატესობა მიანიჭა მოპირდაპირე მხარეებს. ამით ფაქტიურად მან დიდი დახმარება გაუწია გერმანეთ-ბულგარეთს, რომლის რიცხვითი და სტრატეგიული უპირატესობა გამარჯვების საკმაო საბუთს იძლევა.

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე წინადღეების მკაცრი ბრძოლა მდინარე პრიპეტის სამხრეთით დღესაც არ შეწყვეტილა. აქ ყველაფრიდან ჩანს ამ ბრძოლათა სერიოზული ხასიათი, რომლის ასეთი თუ ისეთი შედეგი ორივე მხარისთვის თანასწორად მნიშვნელოვანი იქნება რუმინეთზე გავლენის მოსახდენად.

კავკასიის ასპარეზზე ოსმალები მოქმედებას აცხოველებენ და გაუწყვეტელ შემოტევას აწარმოებენ, თუმცა მათი შემოტევა ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო ნაყოფს ვერ იძლევა.

სპარსეთში სამხედრო ოპერაციის განვითარება პირველ დღეების სისწრაფით ვერ მიდის. ტერიტორიის დაპყრობა და პოზიციების აღება უფრო საძნელო გახდა რუსის ჯარისთვის. სჩანს ამბოხებულებმა მოასწრეს ძალების მოგვარება და დაწყობა და რეგულიარი ჯარის ზნე და წყობილება რამდენიმეთ შეითვისეს. შესაძლებელია აგრეთვე ისიც რომ ოსმალთა რეგულიარი ჯარის საერთო ნაწილი შემოსულა რუსის ჯარს და ამ უკანასკნელის სწრაფი მოქმედება გაენელებინა.

**მეგრი.**

---

**თბილისი, 20 ქრისტეშობისთვე.**

**ვაჭართა ორგანიზაციის საჭიროება**

საშინელი დევნისა და საქვეყნო ათვალწუნების საგნად გახდა ის წოდება და ის მხარე ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, ურომლისოდ შეუძლებელია არამც თუ ნივთიერ-სულიერი დაწინაურება ჩვენი ქვეყნისა, არამედ მისი სამერმისო არსებობაც-კი. ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმდინარეობანი, რომელნიც ჩვენში, ვინ 15 წელიწადი, ვინ კიდევ მეტი ხანი, მოღვაწეობენ, ამ ამაღორძინებელ ძალის მიმართ დაუსრულებელ ბოროტ მოქმედებას ჩადიოდენ. დასახელებული მიმდინარეობანი, აშკარა სოციალისტური მოძღვრებისა, მას სახავდენ კაცობრიობის მტრად, განუწყვეტლივ ებრძოდენ, უტეხავდენ სახელს უკარგავდენ ნდობას და ართმევდენ ზნეობრივ არსებობის უფლებას. პრინციპისა და დოქტრინის ბრძოლამ ჩვენში სპეციფიური ფორმა მიიღო, ჩვენი საერთო განუვითარებლობისა და კერძოდ სოციალიზმის დოქტრინის ქურუმთა გონებრივი სივიწროვისა და გაუნათლებლობის გამო. შეურიგებელი მძულვარება და ღვარძლი დასთესს, არა მარტო თვით პროფესიისა და წოდების წინააღმდეგ, არამედ ამ წოდების თვითეულ წევრის წინააღმდეგ.

ქვეყნის ცოდო ბურჟუაზიას აჰკიდეს. ვაჭრობა და კაპიტალი საერთო გმობისა და შეჩვენების საგნად გადაიქცა. შეიქმნა აუტანელი მდგომარეობა. საქართველოს საზოგადოებრივი ატმოსფერა მოიწამლა. ქართველი ვაჭარი გაურბოდა, თავი ვაჭრად გამოეცხადებინა; მას თავი სოციალისტად მოჰქონდა. თავის პროფესიისა და კოლეგიების დაცვის მაგიერ იგი თავის ჭკუით ამ პროფესიის და მისვან შობილ წარმოებისა მოსისხარ მტრებს ეკედლებოდა და თავის თავს საღლავს უთხრიდა. ქართული ვაჭრობას და ქართულ ახალ ფეხ-ადგმულ ბურჟუაზიას იდეიური დამცველი არ ყავდა, მას ღალატობდა ისიც კი ვინც, მას ჰქმნიდა პრაქტიკულად. და ეს შემოქმედი ძალა, რომლის აღორძინებაზეა დამყარებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე და მისი მომავალი, ჩვენში შებორკილი იყო. დოგმა და ეროვნული უგუნურება ქართველი კაცისა ებრძოდა იმ ერთად ერთ გზას, რომელსაც წინ წასულ ქვეყნებისთვის სიმდიდრე და სულიერი კულტურის დოვლათი შეუქმნია, და რომელსაც ჰქვია ვაჭრობა-მრეწველობა.

ჩვენი ცხოვრების მსვლელობამ აშკარა ჰყო სრული უსაბუთობა და უნიადაგობა განყენებულ პრინციპებით მოაზროვნე სოციალისტური ინტელიგენციისა და შეურყეველს სიმტკიცით წამოაყენა აუცილებლობა ქართული ვაჭრობის მოვლა-პატრონობისა, ბურჟუაზიის გაღონიერებისა, ქართული მრეწველობის შექმნისა, ერთი სიტყვით მთელი ნივთიერი შემოქმედების მოწყობა-მოგვარებისა იმ ენით და იმ საფუძველზე, რა გზითაც და რა საფუძველზედ მოხდა ყოველივე ეს სხვა დაწინაურებულ ქვეყანაში. ამ მხრივ ყველაფერი გასაკეთებელია და დიდი მოვალეობა გვაწევს. საჭიროა დიდი ძალისა და ენერგიის გაღება, რომ შევავსოთ ის ნაკლი, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში სოციალისტურ ინტელიგენციას გაუზრდია და განუმტკიცებია; საჭიროა მტკიცე სავაჭრო ორგანიზაციების შეკვრა, საჭიროა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა სხვა და სხვა საზოგადოების დაარსება, საჭიროა დიდი ცხოველმყოფელი მოქმედების გაჩაღება, რომ აღმოიფხვრას ის შეურიგებელი მძულვარება და ღვარძლი, რომელსაც წელთა განმავლობაში სთესდენ ქართული ნორჩი ბურჟუაზიის მიმართ ჩვენებური სოციალისტები და რომელმაც შეჰბორკა ქვეყნის ნივთიერი და სულიერი აღორძინება და შემოქმედება.

# ახალი ამბავი

✦ **ავადმყოფი მსახიობი ვ. შალიკაშვილი** გუშინ წინ ბაქოდან ჩამოვიდა თბილისში და მეორე დღეს გაემგზავრა ქუთაისში, საიდანაც ჩავა სოხუმში. ავადმყოფი მსახიობი ინახულეს მისმა ამხანაგებმა დ დრამატ. გამ. წევრებმაც. გამგეობას ავადმყოფისთვის ჯერჯერობით გადაუცია საექიმოდ ათი თუმანი.

✦ **ქართული წარმოდგენა სახალხო სახლში.** ხვალ, ორშაბათს დრამატიული დასი სახალხო სახლში წარმოადგენს ლეონიდ ანდრეევის პიესას სტუდენტების ცხოვრებიდან „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. პიესაში მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ძალები. ოლ-ოლის როლს პირველად შეასრულებს ტასო აბაშიძე.

**„ახალი კლუბის“ დარბაზი და სცენა** სრულებით მზად იქნება ამ თვის ბოლოს, ხოლო პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 31 ქრისტეშობისთვეს, წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „ადლუმი“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

✦ **მორიგი ქართული წარმოდგენა ხარფუხის კლუბში** გაიმართება ოთხშაბათს, 23 ქრისტეშობისთვეს; წარმოდგენილი იქნება სამ მოქმედებიანი მხიარული ფარსი „აირია მონასტერი“ რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გუნია, იმედაშვილი, იმხნელი, მგალობლიშვილი, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი, ქიქოძე და სხვანი.

[illegible] შაბათს 22 ქრის. [illegible] ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება კომპოზიტორ გ. მ. დავიდოვსკის კონცერტი. შესრულებული იქნება რუსეთის და ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებანი, აგრეთვე ქართულ-სომხური სიმღერები. კონცერტზე შესვლა უფასოა.

✦ **კრება.** ხვალ, 21 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 6 საათზე, კრება ექნებათ ტრამვაის მუშების საავადმყოფოს რწმუნებულებს. გადასაწყვეტი საკითხი,—მიეცეს თუ არა წევრებს სესხი კასიდან.

✦ **საარჩევნო სიები.** თბილისის ქალაქის ხმოსანთა საარჩევნო სიები საბოლოოდ შესწორებულია და ამ თვის გასვლამდე დაიბეჭდება. ქალაქის გამგეობა დაბეჭდილ სიებს გუბერნატორს წარუდგენს დასამტკიცებლად. არჩევნები მოხდება თებერვლის პირველ რიცხვებში.

✦ **ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა შესახებ.** 17 ამა თვეს ქალაქის გამგეობამ დაადგინა გაუმჯობესოს ქალაქის თვითმართველობის დაბალ მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობა, რისთვისაც ომის გათავებამდე მიემატოს თვიურად იმ მოსამსახურეს, რომელიც 5 თუმნამდე იღებს, 5 მან., ვინაც 5 თუმნიდან 75 მანეთამდე იღებს, 7 მან. 50 კაპ. და ვინაც 75 მანეთიდან 100 მანეთამდე იღებს, 10 მანეთი. ვინაც 5 თუმნამდე იღებს, ასეთ მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 1000-ს, 75 მანეთამდე მიმღების რიცხვი უდრის 160-ს და 100 მანეთამდე მიმღების რიცხვი იქნება 55 კაცი. გამგეობის ანგარიშით დამატებითი ჯამაგირი შეადგენს სულ 81.000 მანეთს, რომელიც შეტანილი უნდა იქნას მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში.

✦ **ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.** დღეს, შუადღისას, გაგრძელდება საზოგადოების წევრთა საერთო წლიური კრება.

✦ **დღეს საბურთალოს აუდიტორიაში** წარმოდგენილი იქნება „უმუშევარნი“ დრ. 4 მოქ. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

✦ **ფქვილი.** 18 ამა თვეს თბილისში შემოვიდა რკინის გზით 24 ვაგონი ფქვილი.

✦ **ადგილობრივ ჯიშის ვაზების შესწავლა და დაცვა.** 18 ამა თვეს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის საგანგებო კომისიამ განიხილა კომიტეტის უფროს სპეციალისტის ვ. ი. ვისნიოვსკის მოხსენება შესახებ იმისა, რომ შესწავლილ და დაცულ იქმნას ადგილობრივი ჯიშის ვაზები. კომისიამ დაადგინა: 1) ამ ვაზების გამოკვლევას შეუდგეს მომავალი გაზაფხულიდან; 2) მომავალ შემოდგომაზე შეაგროვოს ყველა ასეთ ვაზების ლერწები და დაამყნოს ისინი ამერიკულ ჯიშის ვაზებზე; 3) ეს დამყნილი ვაზები გააშენოს უკვე არსებულს სამს სანერგეში; 4) შემდეგში ასეთ ნამყენების გასაშენებლად ცალკე გამართოს პატარა სანერგეები ალაზნის გაღმა მხარეს, ივრისა და ლიახვის ხეობებსა და ბორჩალოს მაზრაში; 5) თითო ასეთი სა-

# მოჯამაგირე და ბოჰემა

ბ. გზელის წიგნი: „როდენის საუბრები ხელოვნებაზე“ ბოლოვდება თავით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მხატვარს ცხოვრებაში. ავტორი წიგნის ბ. გზელი და ოგიუსტ როდენი თავისი მოწაფეებით, უკვე ცნობილ მოქანდაკეებით ბურდელით და დესპიოთი მიდიან სავახშმოთ რესტორანში.

ბურდელი ლაპარაკობს თავის ახლად გამოფენილ ქანდაკზე „პანზე“, რომელსაც მისცა სახე თავის დიდებული მასწავლებლის ო. როდენის და ბოდიშს იხდის, რომ მასწავლებელს ქანდაკში რქები დაადგა თავზე.

მაგრამ როდენი იღიმება და უხსნის: რომ მიქელ ან ჯელოს მოსესაც რქები ადგას თავზე, ეს ნიშანია ძლიერების, ყველაფრის ცოდნის და ამით მხოლოდ ამაყობა თუ შეუძლია მასწავლებელს... ამხანაგურ ვახშამზე ღვინომ გახსნა გული და ბურდელი ეძლევა სევდიან ფიქრს მხატვარის უსარგებლობაზე და იქამდისაც კი მიდის, რომ ამბობს:

— მამაჩემი ქვისმთლელი იყო.. მის შრომაში იყო აზრი, იმას მოჰქონდა სარგებლობა, მაშინ როცა მე სულ ზედმეტი ვარ, ან ვის რად უნდა ჩემი ქანდაკება..

ეს თითქო სიგნალი იყო, რომ მაესტროს დაეწყო საუბარი მხატვარის დანიშნულებაზე; ეს საუბარი ძალიან საინტერესოა. აქ რამდენიმე უბრალო სიტყვით გამოთქმულია უძირო სიღრმე მხატვარის ცხოვრების აზრის. ასე ინტიმიურ უბრალო სიტყვებით გამოთქმა აზრის, მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მართლა ყველაფრის ცოდნის რქები ადგას თავზე. მე მაინტერესებს პირველი ნაწილი ამ საუბრისა.

— მხატვრები თითქმის ერთად ერთი ხალხია, რომელთაც უყვართ თავის **პროფესია,** ამბობს როდენი, მთავარი ნაკლი ჩვენ თანამედროვეთა —ეს არი უქონლობა თავის პროფესიის სიყვარულის, ისინი ასრულებენ თავიანთ სამუშაოს სიძულვილით, ძლივს-ძლივობით დ ასე ზევიდან ქვევით, საზოგადო კიბის ყველა საფეხურზე... ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეებს ასულდგმულებს მხოლოდ მატერიული ნაყოფი თავიანთ მდგომარეობის... ფაბრიკანტები ივიწყებენ თავიანთ ფირმის პატიოსნებას და აყალბებენ პროდუქტებს, მუშები, იქნებიან დიდისა თუ მცირე უფლების მქონენი, ყოველთვის მტრულად არიან განწყობილნი დამქირავებელთან და უგულოთ მუშაობენ, ყველასათვის, თითქმის გამოუკლებლივ, შრომა მწარე აუცილებლობაა, დაწყევლილი ხარკი, მაშინ როდესაც ჩვენთვის ამაში არის აზრი მთელი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ბედნიერება“...

და მართლაც ძნელია მუშაობა მარაღისობისთვის, მაგრამ ძალიან მომტაცია ეს სიძნელეც. მხატვარი იწვის, მაგრამ ცეცხლი უფრო აფიცხებს სულს, ყოველი დაბრკოლება გზაზე ითელება და ყოველივე ამ აქტის შესრულების შემდეგ სულში იძრება ერდგვარი ამპარტავნება, აქ არი საიდუმლო მხატვარის პროფესიისადმი სიყვარულის... მაგრამ ყველგან როდია მხატვრობა პროფესია, ჩვენშიც ერთდროს ეს ასე იყო, მაგრა შემდეგ მოისპო..

ნ. ნიკოლაძე უპასუხებს „ჩემ პოლიტიკაში“ ეს იმიტომ, რომ მე მოჯამაგირე ვიყავ და არ მინდოდა მწერლობის შეურაცჰყოფაო.

პატარა კაცუნების პატარა სულებმა ამ დიდი კაცის დიდ დაჭრილი სულის საშინელ კვილზე გაიცინეს.. არგუმენტი ურეზონოდ მიიჩნიეს.

მაგრამ ამაში არის დაწყევლა, ამაში არის მთელი სიველურე ჩვენი საზოგადოების; კარგია, შენ არ შეგიძლია მწერლის რჩენა, მაგრამ ნუ შეურაცჰყოფ იმით მაინც. რომ შენ გამოკვდება მწერალი.

დიახ, ჩვენ გვყავდენ და გვყავან დიდი მოჯამაგირეები.

და ისე ვექცეოდით მათ და ვექცევით ეხლაც როგორც გაუთლელი ალა— მოჯამაგირეს.

შესაძლებელია ილიამ იმიტომ შექმნა იდეალური სახე პოეტი-მოჯამაგირის გიორგის „ოთარაანთ ქვრივში“ რომ მისთვის არ იყო შორეული იმის ბედი. თვის დასაცმელ ანძაზე ჩამოცმული გიორგი განა არ გაგონებთ წიწამურის გზას?.

ნ. ნიკოლაძემ პირველად დაარქვა ამ მოვლენას მოჯამაგირეობა.

მოჯამაგირეები არიან: ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი, პოეტი კოტე მაყაშვილი.

მაგრამ ეს დიდები, რომელნიც გვეცემიან თვალში.

და რამდენია პატარეები, რამდენნი არიან!..

**გ.**

ვისაც არ უნდა მოჯამაგირეობა, ან ვისი სულიც დიდია და სპეტაკი და არ შეუძლია ჩაიდინოს დიდი დანაშაული: გაყიდოს თავის მამული, დაიწყოს წერა და მსახიობობა სხვა ხალხის ენაზე, რომელიც უფრო აფასებს შრომას, აქაო და ხელოვნება საკაცობრიო არისო ან და ჩემი სამშობლო ჩემი გულიაო,—ამნაირ კაცის წინ დგება დაწყევლილი გზა ბოჰემის.

ბოჰემა ინტერნაციონალი ტიპია, ის ყველა ხალხში არის, მაგრამ იმას მაინც გარჩევა უნდა. ერთის მხრივ მხატვრის სახელი გადაბმულია ბოჰემასთან.

რამდენიც უნდა ჰქონდეს სიმდიდრე მისი სული მაინც უკმაყოფილოა, რადგან სურვილი ყოველთვის მეტი აქვს ვინემ სინამდვილეს შეეფერება; მხატვარი უცნაურია; იმაზე შესდგა აზრი არა ამ ქვეყნიურობის, მუდამ ძიების, მუდამ ტანჯვის, ამაში თითქო გამართლებაა მისი ცხოვრების,—ის იმღერის, როგორც ფრინველი, არ დაზდევს მშიერია, თუ სწყურია. მაგრამ ყოველთვის როდი ეყოფა რომანტიკა, ხანდისხან ისე უხეშია სინამდვილე, რომ შეუძლებელია მასში პროზა არ ალაპარაკდეს.

ბოჰემის ცხოვრებით ჩვენში ცხოვრობდა აკაკი. ვის არ ახსოვს, რომ მისი ლექსი: „არაბი ფაშა“ ერთ მანეთად მიყიდა „დროებას“ რედაქციას, რედაქციაში მანეთის მეტი სულ არ იყო. მაგრამ აკაკიმ თავის სიმშილს სხვისი სიმშილი არჩია ალბად იმიტომ, რომ დიდი ხანი იყო მშიერი.

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე იგონებს: ერთხელ პარიზში ფრანგულ რედაქციაში შესულან ქართველები, არჩილ ჯორჯაძესთან ერთად. რედაქტორს, რომ მათ თხოვნისთვის მეტი ყურადღება მიექცია, არჩილი გაუცვნიათ, როგორც პრინცი ჯორჯაძე.

არჩილს საშინლად მოსვლია გული. რად გინდოდათ ჩემი თავადობის დასახელება, ჩემი გახუნებულ პიჯაკის რად არ შეგრცხვათო.

არჩილში შეურაცხყოფილი ქართველი აიმღვრა.

მაგრამ ეს თითქო ყვავილებია!..

მოიგონეთ ცხოვრება ფრანგი პოეტის ადანის. ვ. ადანი ხან ისე ღარიბულად ცხოვრობდა, რომ ოთახში მაგიდა არ ქონდა და იატაკი უწევდა მის მაგიერობას, ქაღალდიც შემოელეოდა და პაპიროზის ნაგლეჯებზე სწერდა უკვდავ ლექსებს. ოთახში იდგა დანგრეული როიალი, მაგრამ გრაფი, რომ დაიწყებდა ვაგნერის „პარსიფალის“ დაკვრას, ვინ გაბედავდა ეთქვა, რომ ეს ოთახი სიდიადით ჩამოუვარდება ლუვრს? შენიშნავს ბიოგრაფი, მაქს ვილომინი. ოსკარ უაილდს ძალიან მოსწონდა ფრანგი პოეტი პოლ ვერლენი, ერთხელ მის სანახავად წავიდა, ეს იმ დროს მოხდა, როცა უაილდი პარიზის საუკეთესო სალონების მომჯადოებელი სტუმარი იყო. როცა უაილდი მოვიდა სახლთან, სადაც ვერლენი სცხოვრობდა, ისეთი უსუფთაობა და სიღარიბე ნახა, რომ უკან გამოიქცა: არ შემიძლია, შიგ შესვლაო.. შემდეგ ისე მოხდა, რომ უაილდი თვითონ აგირავებდა თავის ჩაყენებულ ოქროს კბილებს, კაფეში შესასვლელად. მოგვითხრობენ, როცა ბალზაკი სწერდა თავის წარმტაც რომანებს, ოთახში ჩაკეტილი ყავდათ კრედიტორებს, დაკეტილი კარების უკან იდგნენ ეს სიკვდილის ანგელოზები და უცდიდნენ ხელონაწერის გათავებას, რომ ფულად ექციათ.

რომელი მწერლის კარები იყო, რომ არ გასმულიყო „ვაგნერისებური“ ზარის რეკა მევალეების...

რამდენს ჩამოთვლი, რამდენი არიან დაწყევლილები?..

— ვერლენი, რემბო, ვილიე ადანი, მამია გურიელი, მშვენიერებისთვის წამებული მოციქულებია.

აკაკი წერეთელი როდი იყო ბოჰემური სული!.. სანამდი სიღარიბეში ჩავარდებოდა, ის თავად როსტომ წერეთლის შვილი იყო და ჰქონდა დიდი საგვარეულო მამული; როცა რუსეთში პირველად გაემგზავრა მშობლებმა ოდესით გაგზავნეს, რომ თავად ვორონცოვის ცოლისთვის ვიზიტი მიეცა, ამას გარდა მოსამსახურეებიც მიყვებოდენ. თავადი მამია გურიელი ბალახვანში მოკვდა სარდაფში, მაგრამ მამია მფლობელი თავადი იყო, ერთ დროს თავად ვორონცოვის სალონში ხიბლავდა ყველას და როდესაც პირველად დაბრუნდა სახლში აფიცერი, მამამ სამასი ცხენოსანი თავად-აზნაურობა დაახვედრა გზაში. არჩილის მამაც თავადი იყო დიდი სამხედრო ჩინის. სანამდი ბოჰემად გახდებოდენ ამ ქართველებმა მიიღეს კულტურა.

ასე იყვენ ზევით დასახელებული უცხო ერთა მწერლებიც.

ჩვენში კი არიან დაბადებით ბოჰემაები; მათში არ არის ბევრი რომანტიკა. პაპიროზის ნაწვავებზე ისინიც დასწერენ ლექსებს, მათ ოთახში არ ექნებათ მაგიდა, მაგრამ დანგრეული როიალი რომ იყოს ისინი მაინც ვერ დაუკრავენ „პარსიფალს“, დაუკრავენ კი არა, სხვამ რომ დაუკრას, იმასაც ვერ გაიგებენ და ხელში რჩებათ ოთახი, რომელიც თუ ფრანგ პოეტს შეეძლო ლუვრზე უმშვენიერესად გაეხადა, ქართველ ბოჰემისთვის საკანია... დიდი სიამოვნებით დააგირავებდა ქართველი ბოჰემიელი ოქროს კბილებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს რომ ყველა კბილები ჩაემტვრეს ვერ ჩაიყენებს და უკბილოდ უნდა იაროს და რა ჯანდაბას დააგირავებს.

ნერგის შესანახათ გადაიდვას 2100 მანეთი.

⟡ **ტრამვაის დირექციას** სენატში გადააქვს საქმე ქალაქის წინააღმდეგ.

⟡ **ქალაქის გამგეობამ** წინადადება მისცა ტრამვაის მოსამსახურეთ 3 დღის განმავლობაში განაცხადონ, სურთ თუ არა დარჩენა ქალაქის სამსახურში.

**ქუთაისი.**

კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიამ შეატყობინა ქუთაისის გუბერნატორს კამერ-იუნკერს ლ. ვ. პოტულოვს, რომ მეფის მოადგილეს განკარგულება მოუხდენია, რათა მალე შეუდგენ ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებლების შენობის აგებას სოფ. დერჩში (ლეჩხუმის მაზრა) შენობის ასაგებათ გადადებულია 15253 მანეთი.

— ბ. გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ ქალაქის გამგეობის ახლად ასარჩევ წევრს მიეცეს ჯამაგირათ 2700 მან. და ეტლის ქირა 300 მანეთი.

**ღ. ხონი**

კვირას, 13 ქრისტეშობისთვეს ადგილობრივ თეატრის დარბაზში სტუდენტების მონაწილეობით წარმოედგინეს „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

— ხონში შაქარი აღარ იშოვება.

— ხონის ბოქაულმა ჯარისკაცების სასარგებლოდ ნივთები შეკრიბა.

**საინგილო.**

— სოფლებში პური თითქმის სულ გათავდა და ჩქარა სიმშილი მოსალოდნელია, რის გამოც სოფლის საზოგადოებანი შეერთდნენ და სოფ. კაკის მომხმარებელ საზოგადოების თაოსნობით პურს იწერავენ ჩრდილოეთ კავკასიიდგან. საჭიროა, ხალხის მეტი თანაგრძნობა რომ, ახალმა მომხმარებელმა საზოგადოებამ მეტი ფხა და უნარი გამოიჩინოს ამ საქმეში.

— გარდაიცვალა მთელს საინგილოში კარგად ცნობილი ს. კოსიაშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის აბ. ბარამაშვილთან ერთად, საინგილოს ყოფილის მებატონის სულთანოვებისათვის მამულის ჩამორთმევასა და ინგილოებისათვის გადაცემაში.

## კახეთის „კავშირი"

როგორც წინა წერილებიდან, ისე დღევანდელ ნომერში მოყვანილ დეპეშებიდან სჩანს რომ—„კახეთის კავშირი" რაღაც სანუკვარ და დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართველთა ცხოვრებაში: ქართველი პრესა, ქართველი მოღვაწენი და შეიძლება ითქვას, მთელი საქართველოც წინასწარვე გრძნობათა და აზრთა სიუხვით მიეგება მომავალ კავშირს კახეთის კოოპერატივებისას. მართლაც, კახეთის კოოპერატივების წარმომადგენელთა კრებამ, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა თელავში, ნათლად დაგვანახვა სიძლიერე, სითამამე, აღმზრდელობითი და ეკონომიური მნიშვნელობა კოოპერატიული იდეისა და მისი მსახურებისა. აქ შეიყარა სრულიად ახალი, დემოკრატიული, რაღაც მესამე ძალა, რომელსაც შეუძლიან დასძლიოს, როგორც ერთის მხრით თავად-აზნაურული უნიათო თეორია-ტენდენციები, ისე მეორეს მხრით, მძიმე და უნდო გლეხკაცობა და შეადუღოს ერთ მძლავრ ეკონომიურ და ეროვნულ ფარგლებში.

ამ რეალს ძლიერს და ცხოვრებასთან გადაჯაჭვულ მოვლენაში თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონოდა ბრძოლის ძველებურს, დახავსებულს მეთოდს, ადგილი არ უნდა ჰქონოდა ცარიელს სიტყვიერებას, მაგრამ, როგორც ეტყობა ძველი თაობის წარმომადგენლებმა აქაც, ამ ახალგაზრდულ ზღვაშიაც მოასწრეს შხამის ჩაწვეთება და ჭორის ატმოსფერის შექმნა.

სიღნაღის მაზრის წარმომადგენელთ ამბავი მიუტანეს, რომ თელავისა და თიანეთის მაზრა ემზადება სამრად და ქიზიყის ამხანაგობათა მიღებაზედ უარს აცხადებსო: ასევე ჩააწვეთეს თელაველებს, რომ სიღნაღელები მოდიან დარაზმულები, რომ კავშირის ინიციატივაც, ხელმძღვანელნიც გამოაცალონ ხელიდან და მთელი საქმეც სიღნაღში გადაიტანონ.

მაგრამ პირველმავე გააფთრებულმა შეტაკებამ გამოააშკარავა ჭორი და ორთავ მხარე ხმაშეტკბობილად და საქმის ცოდნით და რწმენით შეუდგა კავშირის განმტკიცებას და მიზნების ჩამოყალიბებას: პირველი ოფიციალი კრება სავსე იყო ალტაცებით და ერთმანეთის გულწრფელი მისალმებით, საცა კახეთის კავშირს ულოცავდნენ დიდებულ დღეს, როგორც საქართველოს ყველა კუთხეები, ისე ოფიციალ რუსეთის (ვიფარსი) და უკრაინის წარმომადგენლები. მეორე დღემ უფრო განამტკიცა სოლიდარი მოქმედება და კავშირის ძირითადი დებულებანი: დარბაისელი და საქმის მცოდნე მსჯელობის განმავლობაში მიღებული იყო რამდენიმე საერთო გადაწყვეტილება, ყველანი გრძნობდნენ ერთგვარ სულიერ კმაყოფილებას და ემზადებოდნენ, ეწრთობოდნენ მომავალ მუშაობისათვის. დღემ ჩინებულად ჩაიარა და ჰაერში დატრიალდა არა-ჩვეულებრივი, ძალოვანი სული შემოქმედებისა და მუშაობისა, მაგრამ... „ღამემ მებრძოლნი გაჰყარა" და აირია მონასტერი. მეორე დღეს არჩევნები უნდა მომხდარიყო და მთელი საზოგადოება დაიყო ჯგუფებად, საცა უნდა განეხილათ კანდიდატურები. თითქმის ერთხმად ასახელებდნენ დ. ლუკაშვილს და კ. კანდელაკს. მესამე კანდიდატებად რამდენიმე სხვა პირს.

ამ ღამეს გაიზარდა ისევ ჭორი და მითქმა-მოთქმა, რასაც სამწუხაროდ, ბ-ნ ლუკაშვილზედაც უმოქმედნია. ბ-ნი ლუკაშვილი ერთნაირი მსხვერპლი შეიქმნა, როგორც ამ მითქმა-მოთქმისა, ისე თავისი გაზვიადებული თავმოყვარეობისა. ყველაფერი ეს სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც დიდი ეროვნული საქმის კეთების დროს ყოველი პირადი ამბიციები, თუნდ წყენანი და უკმაყოფილებანი უნდა დამცხრალიყვნენ და დიდ საერთო საქმეს შესწიროდნენ. სამწუხაროდ თავდაჭერილობამ უსუსტა ამ შემთხვევაში ბ-ნ ლუკაშვილს, რომელსაც ეგოდენი ამაგი მიუძღოდა წვრილ კრედიტის წინაშე. სრულიად ზედმეტი იყო და შეეძლო საქმეც ჩაეფუშა მის დაჟინებულ მოთხოვნას: თავმჯდომარე უეჭველად მე უნდა ვიყოო... ერთი კანდიდატი მე უნდა ავირჩიოო... ასეთი მოუზომელი სიტყვა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა ყველასა და ბ-ნ ლუკაშვილის საყვარელ საქმეს, რომ საქმეში სხვები უფრო თავდაჭერილად არ ჩარეულიყვნენ.

გვჯერა, რომ დღეს (თვით ბ-ნი ლუკაშვილიც ამაში დაგვეთანხმება) იმ ლუკაშვილმა, რომელსაც არჩევნებამდე ყველა ერთხმად ასახელებდა, არჩევნების დროს მარტო 28 თეთრი კენჭი მიიღო და 13 შავი, მაშინ როდესაც სხვებმა მეტი თეთრი მიიღეს. ამგვარად ბ-ნი ლუკაშვილი გარედ დარჩა. მართალია მან განაცხადა „კავშირს" დახმარებას არ მოვაკლებო, მაგრამ ეს განცხადება საკმარისი არ იყო, შექმნილ უხერხულ ატმოსფერის გასაფანტავად და თავის თავად ჰკარგავს ნამდვილ ღირებულებას.

(შემდეგი იქნება)



**არქ. პიროსი**
ალავერდის ეპისკოპოსად დანიშნული.



**პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ზაქარია დიმიტრის-ძე ბაქრაძე**
დაჯილდოვებული წმ. გიორგის ორდენით და ოქროს იარაღით. ტყვეთაა ავსტრიაში.

## მისალოცი დეპეშები

**კავკავი.** კავკასიის თოვლიან მწვერვალებიდან მეგობრულ ხელს უწვდიან თერგის მხრიდან ახლად აღორძინებულს კავშირს მშრომელ და კეკლუც კახეთისას. ღრმად გვწამს, რომ ეს კავშირი მიაღწევს კოოპერაციის საოცნებო მიზანს. მრავალჟამიერ კახეთის კავშირს, ალავერდი, ამიერ-კავკასიის კოოპერაციას!

თერგის კავშირი.

—

**პეტროგრადი.** გმადლობთ მოწვევისთვის ვერ მოვალ. ვისურვებ, რომ კავშირს აღსრულებოდეს იმედები.

ვასილიევი.

—

**თბილისი.** სულით და გულით გმადლობთ მოწვევისთვის. ვწუხვარ, ვერ მოვდივარ, სამსახურის თანამდებობისა გამო, რომ მონაწილეობა მიმეღო კახელთა კავშირის ასეთ კულტურულს დღესასწაულში. მდაბლად ვესალმები კავშირს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ძლიერ ეკონომიურ აღორძინების ბერკეტად გარდაიქცევა.

მალხაზ ანდრონიკაშვილი.

—

გულწრფელად გილოცავთ კახეთის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის გახსნას. გულითა და სულით გისურვებთ მისი საქმეების წარმატებას. დიდად ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან კავშირის დამფუძნებელ კრებას დავესწრო.

სტრახოვსკი.

—

უგულითადესად ვულოცავ ძვირფას კახეთს ეკონომიურ ცხოვრების ახალ ამმოძრავებელ მოვლენის—საკრედიტო-საკოოპერაციო ამხანაგობათა კავშირის დაარსებას. სულითა და გულით მახარებს ჩვენის ინტელიგენციის სოფლად მოღვაწეობა მშობლიური ერის სასარგებლოდ. გულწრფელად ვწუხვარ, რომ თქვენთან არ ვიმყოფები.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი **თ-დი ჩოლოყაშვილი.**

—

**თბილისიდან.** გულმხურვალეთ მომილოცნია სამშობლოს ერთგულ შვილებისათვის ეს დიდებული დღე დიადის საქმის დაწყებისა. თქვენგან დაარსებულს კავშირში კურთხეული კახეთი ჰპოებს კულტურულ ძალას, რომელიც აღაყვავებს მის წიაღში ჩამარხულ გამოულეველ განძს. მოწიწებით თავი დამიხრია დამფუძნებელ კრების წინაშე.

ილია ზურაბიშვილი.

—

სამწუხაროდ კრებაზე დასწრება ვერ შევიძელი. სალამს გიძღვნით. გისურვებთ სრულ გამარჯვებას.

ქალაქის თავი **ალექსან. ხატისოვი.**

—

მივესალმები **კახეთის** წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა თათბირს, ვუსურვებ შეკავშირებას აღმოსავლეთ საქართველოს დიდ პრაქტიკულს საქმეში.

წვრილ კრედიტის ინსპექტორი

**ჩხეიძე.**

—

სალამს ვუძღვნით კახეთის კაშირის პირველ ყრილობას. გისურვებთ, რომ ამიერ კავკასიაში მძლავრად განვითარდეს კოოპერაციები.

მოსკოვის მთავირი კავშირი.

## სათათბიროს დღიური

11 ქრისტეშობისთვეს სათათბიროს თავმჯდომარეს კაბინეტში გაიმართა ყველა ფრაქციების წარმომადგენელთა კრება.

ამ კრებაზე წაიკითხეს შრომის ჯგუფის განცხადება, რომელშიაც უკანასკნელნი მოითხოვდენ სახელმწიფო სათათბიროს დაუყოვნებლივ მოწვევას.

**კერენსკი** ითხოვს ახლავე გამოირკვას, თუ როგორ მოხდა სათათბიროს მოწვევის გადადება. როგორც ყველამ იცის სათათბიროს თავმჯდომარეს უქაზის გამოქვეყნების წინა დღეს აუდენცია ჰქონია ცარსკოე სელოში; საჭიროა გავიგოთ ჰქონდა თუ არა თავმჯდომარეს რაიმე დამოკიდებულობა ამ ჩვენთვის არა სასიამოვნო მოვლენასთან.

**როძიანკო** დაწვრილებით ყველაფერს უამბობს და უმტკიცებს, რომ მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა ამ უქაზთან. პირიქით იგი ყოველთვის მომხრე იყო ამისა, რომ სათათბირო დაუყოვნებლივ მოწვეულიყო.

ამის შემდეგ საბჭოში გაიმართა თათბირი იმის შესახებ, თუ როდის უნდა იქმნეს მოწვეული სახელმწიფო სათათბირო.

**ეფრემოვი** ამტკიცებს, რომ დღევანდელი მდგომარეობა რუსეთის იმპერიისა გადაჭრით მოითხოვს, რომ სათათბირომ განაახლოს მუშაობა. სათათბიროს მოწვევა საჭიროა, როგორც საკანონმდებლო შრომისთვის, აგრეთვე მთავრობის მოქმედების კონტროლისათვის.

**მილიუკოვი** დაწვრილებით ეხება უქაზის დედა აზრს და ამტკიცებს, რომ საბიუჯეტო კომისიას შევიძლიან ვადა დაუდვათ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვისათვის. ამავე დროს თავმჯდომარემ უნდა აღძრას წინადადება, რომ სათათბირო მოწვეული იყოს სწორედ მაშინ, როდესაც კომისია მუშაობას დაამთავრებს.

**შეიდი** (ნაციონალისტი) არ ეთანხმება მილიუკოვს. მისი აზრით თავმჯდომარეს შეუძლიან შუამავლობა აღძრას, მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც უკვე დაბეჭდილი იქნება საბიუჯეტო კომისიის მოხსენება.

მემარჯვენენი **ზამისლოვსკი, ლევაშოვი** და ნაციონალისტი **ჩიხაჩოვი** ემხრობიან **შეიდს**

**ჩხეიძეც** წინააღმდეგია მილიუკოვის წინადადებისა. ასეთ გზას რომ დავადგეთ, მაშინ ცხადია ჩვენისვე პირით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო სათათბირო მარტო ბიუჯეტის განსახილველად [illegible] მოწვეული. სახელმწიფო [illegible] ნამდვილად კი საჭიროა, რომ ცოტათ თუ ბევრად შეიზღუდოს მთავრობის გალაშქრება საზოგადოების წინააღმდეგ.

**ლევაშოვი** მემარჯვენეთა სახელით აცხადებს, რომ სათათბირო მათი აზრით თავის დროზედ იყო დათხოვილი: ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც სათათბირო მთავრობის წინააღმდეგ აპირებდა ამხედრებას. მემარჯვენები არ არიან წინააღმდეგი, სათათბიროს მუშაობისა, მაგრამ მათ სწამთ, რომ სათათბირო პროგრესიულ ბლოკის წინამძღოლობით გერმანეთის სასარგებლოდ მუშაობდა.

ასეთი განცხადება საშინლად აღელვებს ყველა საბჭოში დამსწრეთ, გარდა, რასაკვირველია, მემარჯვენეებისა.

**მილიუკოვი** სახე გაფითრებული უამბობს საბჭოს, თუ რა სიხარულით და თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალყურს გერმანეთის გაზეთები მემარჯვენეებთა ყრილობებს, რომ თვითონ მემარჯვენეები თავს უხრიან პრუსიაში გამეფებულ რეჟიმს. მე მიკვირსო, ამბობს **მილიუკოვი,** მერ რიტტერ ფონ-ლევაშოვის განცხადება, ვითომ ჩვენ გერმანელების სასარგებლოთ ვმუშაობთ.

მემარჯვენეები მილიუკოვის სიტყვების შემდეგ საშინლად ახმაურდნენ. მათ საშინლად აბრაზებთ მილიუკოვის სიტყვა „მერ რიტტერ ფონ ლევაშოვი".

— ეს თავხედობაა,— ყვირის ზამისლოვსკი.

— ლანძღვა აკრძალულია,—უპასუხებს კარაულოვი.

ლევაშოვი და ზამისლოვსკი კაბინეტიდან გადიან.

ამის შემდეგ საბჭომ ერთხმად დაასკვნა, რომ საჭიროა სახელმწიფო სათათბირომ დაუყოვნებლივ განაახლოს მუშაობა.

## ილია ჭავჭავაძის მამული საგურამოში

(წ.-კ. გამ. საზოგად. საყურადღებოდ)

ამ დღეებში გაზეთში წავიკითხე საოცარი ამბავი; წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ ამ თვის ექვსს წარუდგინა კრებას შემდეგი მოხსენება: „ხანგრძლივმა უნაყოფო ცდამ დაგვარწმუნა, რომ ილია ჭავჭავაძის მამულს საგურამოში ვერ მოუვლით, ამიტომ უმჯობესათ ვცანით ეს მამული გაიყიდოსო".

ეს სიტყვები გლოვის ზარივით მოხვდა ქართველის სმენას. ჩვენმა საუკეთესო კულტურულმა ორგანომ ვეღარ მოუარა ქართველი ერის სიამაყის ილიას შესანიშნავ მამულს, 286 **დესეტინა საუკეთესო მიწას,** მდებარებს რკ. გზის სადგურის სიახლოვეს, **ზარალობს დიდათ, ყოველ წლივ და ახლა უპირებს თავიდან მოშორებას.**

მერე ვინ უნდა იყიდოს ეს დიდი მამული? ეჭვი არაა, ფულიანმა კაცმა. ვინ არიან ჩვენში ის ფულიანები, რომელნიც მედგრათ ცდილობენ წაგვგლიჯონ ხელიდან ჩვენი ძვირფასი მიწა-მამული, გმირ წინაპართა მიერ სისხლით მორწყული? ესენი გახლავთ უმეტეს შემთხვევაში უცხო ტომისანი.

მაშ, ის მამული, სადაც განვლო თავის ქებული დღენი დიდმა მგოსანმა, სადაც დასწერა მან თავის დიადი ნაწარმოებნი და რომლის სიახლოვეს ჰპოვა მოწამებრივი სიკვდილი ერის ულირს შვილთაგან, დიახ, ის დიდი მამული უნდა გაიყიდოს, უნდა ჩაუვარდეს ხელში უცხო ტომის შვილს და ხელიდან გაგვეცალოს ძვირფასი მამული, რომელიც უნდა გარდაიქცეს ქართველი ერის მექად და ერუსალიმად...

ჭეშმარიტად სავალალოა, რომ 8 წლის განმავლობაში ვერ შევძელით და ვერ მოუვარეთ 286 **დესეტინა ნაყოფიერ მიწას,** სადაც 69 **დესეტინა სახნავია,** 22 **დეს. ბაღი და ვენახი,** 114 **დეს. მშვენიერი ტყე და** 75 **დეს. სათიბი და საბალახო.** ამ დიდ მამულს ვერ გამოვაღებინეთ იმდენიც კი, რომ დაეფარა ბანკის ვალის სარგებელი, ე. ი წლიურად 180—200 თუმანი. ამ რიგად ერთმა დესეტინა მიწამ ვერ მოგვცა თურმე 7 მანეთიც კი წლიური შემოსავალი... გამოვტყდეთ, რომ ეს დიდი სირცხვილია ჩვენთვის! ნეტა რას იტყოდა შეგნებული ევროპელი ამის მნახველი, რომელიც 2—3 დღიური მიწით არჩენს მთელს ოჯახს!

აი რა ზომამდე მიგვიყვანა რუსულმა სკოლამ და კაბინეტობამ! აი რამდენათ არის ჩვენში დაცემული სამეურნეო ტეხნიკური და სოფლის მეოჯახობის წარმოების უნარი! ზედ თბილისთან, უზარმაზარ ბაზრის სიახლოვეს გვაქვს ფრიად ნოყიერი სარწყავი მამული, ვრცელი და ყველაფრით შემკული, გზებიც ხელს უწყობს და ჩვენ

---

მართალია ჰარმონიის გაზომვა არ შეიძლება ალგებრით, მაგრამ თუ ალგებრას დღეს ჩვენ მოკლებული ვართ ამ პროფესიას, რომელიც ყველაზე უფრო ნაყოფიერია, იმიტომ რომ შეკავშირებული არი სიყვარულთან, იმით არის განათებული და გაწმედილი... საერთო ეროვნული მუშაობის ბალასტში, ამ პროფესიის უქონლობას შეაქვს დიდი დანაკლისი, ოსკარ უაილდი თავის საინტერესო წერილში: „ადამიანის სული სოციალიზმის დროს" ეხება ამ საკითხს... პარადოქსალური აზროვნებით ის ამტკიცებს, რომ სოციალიზმს ადამიანი მიყავს ინდივიდუალიზმისაკენ; შენიშნავს, რომ არსებულ პირობებში, მხოლოდ რამდენიმე რჩეულთ, რომელთაც საკუთარი საუნჯე ჰქონდათ, როგორც არიან ბაირონი, შელლი და ვიქტორ ჰიუგო, ჰქონდათ ნამდვილი საშუალება ნაკლების თუ მეტის მთლიანობით გამოეჩინათ თავიანთი პიროვნება. არც ერთს ამ დასახელებულ პირთაგანს არ უმუშავია ერთი დღეც დაქირავებულიო"... რა იქნებოდა მათ რომ მართლა ჯამაგირზე ემუშავნათ?

მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი სიამაყე, ქედმაღლობა რამდენიმეთ მაინც მოიდრიკებოდა, და თუ რა დაემართებოდათ მათ, ეს შეიძლება ქართულ მწერლობის მაგალითებით გამოვიცნოთ.

— თქვენ წარმოგიდგენიათ ბაირონი ბანკის კანტორაში?..

რასაკვირველია არა!..

მაგრამ ილია ჭავჭავაძემ თავის დროსი, ნების, ნიჭის ნახევარი ამ გარეშე საქმეს მოახმარა. ის მარჯვენა, რომელიც სწერდა „აჩრდილის" და „კაკო ყაჩაღის" ცეცხლიან სტრიქონებს, მთელი დღეები ფურცლავდა ბეჯითად კანტორის წიგნებს, მთელი საათები ელაპარაკებოდა ბანკის ოპოზიციას სიტყვებს, რომელნიც მისთვის შორეული იყვნენ, არავითარი კავშირი არ ქონიათ მისი სულის უკეთეს აღთქმებთან და როცა მაინც ვერ იგებდენ და ჰკივეულობდენ ჩოხიანი თავადები და მოხუცი ჯვარ მენდლიანი გენერლები და ყვიროდენ: შენ ძალას ატან კრებასო... ილია უპასუხებდა: თუ ძალას ვატან, ეს ის ძალაა, რომელსაც ჭკუა ატანს უმეცრებასო... და ასე ათამაშებდა ილია გიშერს ბრბოს წინ..

ვინ იცის იქნებ ის მოდგმათა გამწითლებელი სირცხვილიც ილიას სიკვდილისა არ გვენახა, ეს ასე რომ არ ყოფილიყო. ჩვენი საზოგადოება მიეჩვია ამნაირ მდგომიარეობას საგნებისას, თითქო ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქო ნორმული იყო ის, რომ საუკეთესო ადამიანები არა თავის პროფესიას კიდებდენ ხელს.

აკაკი წერეთელს ვერ აპატიეს, რომ ის უსაქმო დაიარებოდა, უსაქმო რასაკვირველია ძალიან ვიწრო აზრით, დორბლს ყრიდენ პირიდან, როცა აკაკი თავს ფუტკარს ადარებდა და უზრუნველ პეპელას, როცა ამბობდა ცას წმიდა სანთელს ვუმზადებ, პატარა საქმეებისთვის არ მცალიანო. რამდენი თქმულა ამაზე, რამდენი დაწერილა, რამდენის წვერიან ჩექმას გაუსეირნებია პოეტის სპეტაკ სულზე... მაგრამ აკაკი მაინც არ მოიდრიკა; ვერც დაცინვამ, ვერც გაჭირვებამ ვერ გატეხა ამაყი სული, მაგრამ ეს იმიტომ რომ აკაკი—აკაკი იყო, გაუტეხელ, მტკიცე ნების.

ნიკო ნიკოლაძეს უსაყვედურეს, რატომ დაანებე მწერლობას თავი და საქმიანობაში ჩაძვერიო. კულტურაა, უიმისოდ არც დიდი ნაწარმოების შექმნა შეიძლება. შოთა რუსთაველი გულში ატარებდა ჰარმონიას, მაგრამ იმან ალგებრაც იცოდა, იმან იცოდა ბერძნული ფილოსოფია, არაბული მეცნიერება და რამდენი კიდევ სხვა. იმიტომ არი, რომ საუკუნოები ვერ აყვითლებენ ცეცხლის ფურცლებს: აკაკი და ილია უაღრესად კულტუროსანნი იყვნენ: მათ ჰქონდათ მემკვიდრეებითი კულტურა, როგორც თავადებს და ამის გარდა ისინი მისდევდენ საუკუნეს. დღეს როდესაც შეიქმნა ერთგვარი მუზეიმის სული (Музейная душа), ამ ჰაეროპლანების დროში, როცა იქმნება სკოლა მეცნიერულ პოეზიის (ფრანგი პოეტის რენე გილის), რომელიც ყოველს შემთხვევაში მომასწავებელია ახალ ერას დაწყებისა,—

დღეს ვერ დაგვაკმაყოფილებს ბუკოლიკა. ვაჟა-ფშაველა, მართალია ბუკოლიკას პოეტი იყო მაგრამ ის იყო ძგენია და მერე არც ისე ყოფილა ჩამორჩენილი, როგორც ზოგს ჰგონია. მოიგონეთ, რომ ვაჟას ესმოდა ამერიკელი ფანტასტი ედგარ პო და სთარგმნა მისი პოემა: „ყორანი", ამის გარდა ის აღზრდილი იყო კლასიკურ მწერლობის ტრადიციებზე მან სთარგმნა ვ. შილერის „ორლიანელი ქალწული".

დღეს მოდის ჩვენ მწერლობაში რუსის არმია, რუსის არმია, რომელმაც პოეტის ერთი ცნობილი თქმა:

ასე გადააკეთა: შეიძლება წერაკითხვა არ იცოდე, მაგრამ პოეტობა აუცილებელიაო.

ეს ცუდი ნიშანია!..

და დადის ეს ბოჰემა სოფლიდან სოფლად, urli etzurli, როგორც კომედიანტების ხროვა, იწყობა დილა-საღამოები, იკითხებიან ეს ლექსები სადაც გინდა „და ხანდახან პანაშვიდშიაც". და ვინ გინდათ, რომ ამ საღამოებზე პოეტობას არ იჩემებდეს... ამას შეუძლია გარყვნას ერის სული.

ამ ბოჰემიელებში მაინც ურევიან დიდი სულის პატრონებიც, იმათ უფრო მეტი ნიჭი აქვთ სიმღერის, ვინემ ცხოვრებასთან არსებობისთვის ბრძოლისთვის, მხოლოდ მათი გზა,გზაა დაწყევლილი ბოჰემისა. ჩვენ სხვისთვის დაგვითმია როლი, რომ ქართველ საზოგადოებას შეაგონოს უზრუნველ-ყოფა ქართულ აზრის მომუშავეთა, ეს უნაყოფო შრომა იქნება.

მხოლოდ ჩვენ ვითხოვთ: როცა უცხოეთში თვალს მოავლებთ **მწერალ-ბიბლიოთეკათ,** მეცნიერებს და პოლიტიკურ მოღვაწეთ და იტყვით:— ჩვენში რა ჯანდაბა ხდებაო".

იფიქრეთ: რომ ჩვენ გვყვანან მოჯამაგირე მწერლები, რომელნიც შავ სამუშაოს ალევენ დღეებს, რომ ჩვენი მწერლები სამი დღით წინ ფიქრობენ ხვალინდელ სადილზე, ჩვენმა სტუდენტებმა უნივერსიტეტი კანტორაზე შესცვალეს, რადგან დარწმუნდნენ, რომ სახარების მინდვრის ზამბახები, რომელნიც ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობენ მოჭორილი ამბავია:

და ასე ამბობენ მოჯამაგირეები, ბოჰემები, კანტორის მოსამსახურეები:

— თუ არას მოგვცემ, ნუ გვცემ მაინც; ჩვენ გვგონია ამის უფლება გვაქვს, რომ მოვითხოვოთო!..

ტ. ტაბიძე.

ქ. მოსკოვი.

ვერ მოგვივლია მისთვის! მზად ვართ მივყიდოთ ოხრის ფასად უცხოელებს...

არა, ბატონებო! ნუ ჩავიდენთ ისეთ რამეს, რისთვისაც წყევლა-კრულვით მოგვიხსენიებს მომავალი თაობა!.. საბედნიეროდ, წ.-კ. გამ. საზოგადოების კრებაც ასეთი აზრით შეხვდა ამ საკითხს და ცხარე კამათის შემდეგ დაადგინა: **არ გაჰყიდოს ილიას მამული და კვლავ დასტოვოს საზოგადოების საკუთრებათ.**

მაგრამ კრებას დარჩა გაურკვეველი მეორე მთავარი საკითხი: **რა ზომა უნდა იხმაროს გამგეობამ, რომ ეს დიდი მამული გახდეს შემოსავლიანი.** როგორც ჩანს, ამ საკითხს იგი სრულიად არ შეეხო. რვა წლის ცდამ ნათლად დაამტკიცა, რომ გამგეობამ ვერ შესძლო ილიას მამულის მოვლა ვერც საოჯახო წესით და ვერც იჯარით გაცემით. ილიასეული ინვენტარი გაცვდა დაიკარგა, ზარალმა თანდათან იმატა და მამულიც შესამჩნევად დაქვეითდა. შარშან არჩეულმა კომისიამ სანუგეშო ვერა რა გვითხრა; უნდა დაიხარჯოს მამულზე სამ წელიწადში 24.000 მანეთი, შემოსავალი კი იქნება ამ ხანში მხოლოდ 6.400 მანეთიო და შემდეგ წლიურად 300 თუმანს არ აღემატებაო. ამ რიგად დეფიციტი იქნება 18.000 მანეთიო, ბრძანებს გამგეობა. მეორე გზაა მამულის იჯარით გაცემა 12 წლით, თანაც გამგეობამ უნდა დაახარჯოს მამულს 8.000 მანეთიო. მოიჯარადრენი სამ წელიწადს არაფერს იხდიან, მეოთხე წელიწადს იძლევიან 1.500 მ., მეექვსე წელს კი 2.000 მანეთს. როგორც სჩანს, სანუგეშო არც ერთი არაა. და სწორედ კომისიის ასეთმა გამოკვლევამ მოიყვანა გამგეობა პესიმისტურ აზრამდე და აფიქრებია მამულის თავიდან მოშორება.

რაც შეეხება ქართ. სამეურნეო საზოგადოების წინადადებას, ჩვენ გადმოგვეცით ილიას მამული სრულ საკუთრებათ და ჩვენ მოუვლითო, კრება ამას უარყოფით შეხვდა. თუმც ქართ. სამეურნეო საზოგადოება ფრიად სიმპატიური კულტურული ორგანოა და მისი წინადადებაც საგულისხმო, მაგრამ ამ შემთხვევაში სასტიკად დაცული უნდა იყოს ქართველი ერის დიდების ილიას სურვილი, რომელმაც უანდერძა მთელი თავის ქონება, თხზულებანი და მასთან ეს საგურამოს მამული წ. კ. გამ. საზოგადოებას, რომლის დამაარსებელი, თავმჯდომარე და სულის ჩამდგმელი იყო თვით განსვენებული მგოსანი.

ნუთუ მართლაც ასეთი უიმედობაა?! ნუთუ ვერ ვისარგებლებთ იმ მამულით და ვერ შევქმნით ისეთ რამეს, რომელმაც ხარჯებიც დაფაროს და შემოსავალიც მოგვცეს?!

არა, ჩვენ არ ვუცქერით საქმეს ასე უიმედოთ! ნება მიბოძეთ მოვახსენოთ, რომ ასეთ დიდებულ მამულში **ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ დიდი შემოსავლიანი წყარო და მასთან ისეთი დაწესებულებაც, რომელიც უკვდავ ყოფს მთელს მაზრაში ილიას ნათელ ხსოვნას.**

ევროპაში არსებობს ერთგვარი ტიპის სასწავლებელი, რომელსაც ჰქვია école-ferme (ე. ი. სკოლა-ფერმე). ეს გახლავთ დაბალი სამეურნეო სკოლა 2—3 წლის კურსით, სადაც უმთავრესად აწარმოებენ **პრაქტიკულ მუშაობას.** აქ გამოცდილი სპეციალისტი-მასწავლებელი გუთნით, ბარით და ბაღის მაკრატელით ხელში ასწავლის ბაღსა და ბოსტანში, ვენახსა და ყანაში მოზრდილ მოწაფეებს საუკეთესო სისტემით ხვნა-თესვას, მიწის გაპოხიერებას, ნათესის მოვლა-მოწევას, თესლის და ნერგის არჩევას, ვაზის, ხეხილის და დეკორატიულ მცენარეთა დამყნას, დარგვას და მოვლას, რძის მეოჯახობას, მეფუტკრეობა-მეაბრეშუმეობას, ცხოველების მოვლა-მოშენებას, ხილის შენახვას საზამთროდ, ხილის და ბოსტნეულის კონსერვებს და სხვ.

ამ ტიპის სკოლები მეტად გავრცელებულია იტალია საფრანგეთში, ბელგია-შვეიცარიაში, გერმანიაში და სხვაგან. ამ სკოლებს მოაქვთ ფრიად დიდი სარგებლობა, რადგან აქედან გამოდიან განსაკუთრებით სოფლის შეგნებული მუშა-მეურნეები, რომელთაც პრაქტიკულად შესწავლილი აქვთ **საზრიანი მეურნეობა, სამეურნეო ტეხნიკა** და ამიტომ შეუძლიათ კარგად აწარმოვონ საკუთარი მეოჯახობა. ასეთ სკოლებში უმთავრესად ვარჯიშობენ ისეთ სამეურნეო დარგებში, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ მხარეში. მაგ., ერთ სკოლაში უმთავრესად მისდევენ ბაღოსნობას, მეორეში მევენახეობა-მეღვინეობას, მესამეში რძის მეოჯახობას, მეოთხეში მებოსტნეობას და სხვ.

აი, სწორედ ასეთი ტიპის სკოლა-ფერმები უდიდეს სარგებლობას მოუტანდენ ქართველებს, ასე რიგად ჩამორჩენილს სამეურნეო კულტურაში, რაც ძლიერ აფერხებს ჩვენი სოფლის ნივთიერს და გონებრივს კეთილ-დღეობას.

ამ ტიპის სკოლები, ერთდროული ხარჯს გარდა, შემდეგ თითქმის არავითარ გარეშე ხარჯს არ ითხოვს, რადგან პრაქტიკულ-კომერციულათ დაყენებული მეოჯახობა და მოზრდილ მოწაფეთა უფასო შრომა, კარგი მართველის მეოხებით იმდენ შემოსავალს იძლევა სკოლის მამულიდან, რომ ხშირად სრულიად ფარავს ყოველივე ხარჯს მასწავლებელ-მოწაფეთა შესანახათ, თანაც სტოვებს მოგებასაც კი. და ეს იმ დროს როცა თითოეულ სკოლა 10—15 დესეტინა მიწაც კი არა აქვს.

ჩვენს სათაყვანო მგოსანს ილია ჭავჭავაძეს უყვარდა მეურნეობა და სოფლის მეოჯახობა, უყვარდა მშრომელი გლეხი, ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ **ილიასეულ მამულში დავაარსოთ ასეთი ტიპის სკოლა, სადაც გლეხის შვილები უფასოდ ისწავლიან პრაქტიკულად საზრიან მეურნეობას და ამ სახით სამჩნევათ გააუმჯობესებენ თავიანთ ბებავ ცხოვრებას.** ილიას მამული იმდენად დიდია და ნაყოფიერი, რომ ახლო მომავალში იქ შეიძლება დაარსდეს ორი ან სამი სხვა და სხვა ტიპის სკოლა-ფერმა, თითო 2—3 წლის კურსით.

— როგორც ვთქვით, ეს სკოლები არ მოითხოვენ დიდ ხარჯებს, 2—3 წლიდან კი ზოგიერთი დარგი ფარავს ხარჯებს და სტოვებს მოგებას. აქ კი, ამ საგურამოს მამულში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ამ თავითვე **რძის მეოჯახობას,** რადგან ეს მამული რკინის გზით უახლოვდება ისეთ დიდ-ბაზარს, როგორიცაა თბილისი, სადაც ბოთლი რძე ღირს 5—6 შაური და გირვანქა კარაქი 7 აბაზი, ამიტომ **ძროხების ფერმა მისცემს მამულს პირველ წლიდანვე დიდ შემოსავალს.**

გამოცდილება გვიკარნახებს, რომ საშუალო ჯიშის ძროხა, რუსული (ან ევროპიული,) შესაფერად მოვლილი იძლევა დღეში ერთი-მეორეზე **10 ბორჯომის ბოთლ რძეს** 9 თვის განმავლობაში, (არიან ისეთი ძროხებიც, მაგ. ინგლისის და ჰოლანდიის, რომლებიც იძლევა დღეში **3 ვედრო რძეს,** ე. ი. **30—35 ბორჯომის ბოთლს).** ბოთლი რძე რომ ვიანგარიშოთ **ერთ აბაზათ,** გამოდის, რომ ასეთი საშუალო ძროხა მოგვცემს დღეში **ორ მანეთს** და თვეში **60 მანეთს,** 9 თვეს კი **540 მანეთს.** მაშ 20 ასეთი ძროხა მოგვცემს წლიურად **100 თუმანზე მეტს,** გარდა ხბოებისა, რომლებიც ღირს კიდევ კარგ ფასათ. 20 ძროხისათვის სრულიად საკმარისია საძოვრათ 10—15 დესეტინა მიწა და საზამთრო საკვებად 5—10 დესეტინაზე მოწეული იონჯა, სამყურა, სიმინდის ჩალა, სოია და საქონლის ჭარხალი. ამ 20 ძროხას ადვილათ მოუვლიან და მათ საკვებზე იზრუნებენ ფერმის მოწაფეები, 15—18 წლის გლეხის ბიჭები, შინვე შეჩვეული მუშაობას, რომელთაც ექნებათ სკოლაში უფასო სწავლა, ბინა, საჭმელი და სამოსელი. ამდენი ძროხის კელა მისცემს მამულს ბლომად სასუქს ჭირნახულის, ბოსტნეულის, ხილის და ღვინის მოსაწევათ, როგორც სკოლის საზრდოთ ისე გასაყიდათ.

ორი წლის კურსიან სკოლაში იქნება დაახლოებით 40—50 მოწაფე, რომლებიც მასწავლებელთან ერთად სხვა და სხვა სახით დაინტერესებული იქნებიან და ხელს შეუწყობენ, როგორც ფერმის ისე მთელი მამულის წარმატებას, შემოსავლის გადიდებას და წმინდა კომერციულ ნიადაგზე დამყარებას. ამ ფერმა-შკოლის შემადგენლობა იქნება ილიას მამულში ერთი დიდი ოჯახი, ერთგვარი კოოპერატივი, გამსჭვალული იმ დიადი მიზნით, რომ რაც შეიძლება გონივრულათ აწარმოვონ ამ დიდ მამულში ინტენსიური მეურნეობა, წარმოშვან რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები და მით შექმნან მეტი შემოსავალი.

ასეთი სკოლა-ფერმა შევიძლია დავაარსოთ საჩხერეშიაც მეორე დიდი მგოსნის აკაკის მამულში. **ამ სკოლებს უნდა ეწოდოს ილიას და აკაკის სახელი.**

ამ მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია აღვნიშნოთ გარკვევით სკოლა-ფერმის პროგრამა და დავხატოთ ილიას მამულის მოვლა-პატრონობის მთელი სქემა. ეს განსაკუთრებული კომისიის საქმეა, რომელშიაც უნდა აირჩიენ საუკეთესო სპეციალისტები და გამოცდილი პირები.

თუ რაოდენი იქნება პირველდაწყებითი ხარჯი ასეთი სკოლა-ფერმის მოსაწყობად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფარგლით დავიწყებთ საქმეს. სამწუხაროდ, არ ვარ გაცნობილი ილიას მამულს, არ ვიცი თუ რა შენობები და რა სამეურნეო ინვენტარია იქა, ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ რა ხარჯები დასჭირდება ამ თავით. ჩვენის აზრით, ერთდროული ხარჯი არ უნდა აღემატოს 1,000 თუმანს; ამაშივე შედის უცხოელი ჯიშის ძროხების ფასიც 400 თუმანი, (თითო ძროხაზე 20 თუმანი რომ ვიანგარიშოთ). თუ გაჭირდა შევიძლია 500 თუმნითაც დავიწყოთ საქმე.

მერე სად ვიშოვოთ ეს ათასი თუმანი? ამ ფულს ჩვენ ადვილად გვასესხებს ან სამეურნეო ბანკი, ან და ასეთ დიდ საქმისთვის ხალისით შემოსწირვენ ჩვენი მდიდარნი ქველმოქმედნი, როგორიც არიან ძმანი ზუბალაშვილები, ქ-ნი ეკ. სარაჯიშვილისა, ბ. მანსვეტაშვილი და სხ., რომელნიც ისე დიდ პატივს სცემენ ილიას წმინდა ხსოვნას. (როგორც ვიცით, თვით მთავრობაც კი აძლევს სუბსიდიას ასეთ სკოლებს).

ამ ათას თუმნით ჩვენ შევქმნით ილიას ძვირფას მამულში **პრაქტიკულ სკოლას, სამაგალითო ფერმას, მოვაწყობთ ევროპიელ მეურნეობას, რომელიც თავის მოქმედებით გააშუქებს მიდამოს ისე, როგორც ს. ავლევის სკოლა თ. კ. ამირაჯიბის მიერ დაარსებული აოცებს მნახველთ. და ეს სკოლა, ეს საუცხოვო ფერმა იქნება საუკეთესო ტაგრუცი დიდი მგოსნის სახსოვრათ აგებული.**

მხოლოდ საჭიროა ასეთ სკოლას სათავეში ჩაუდგეს მცოდნე, მშრომელი, ჯანსაღი, გამოცდილი, ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანი, რომელიც შთაბერავს სულს და შექმნის მამულში სასურველ ტრადიციას. აი, ასეთი კაცის მოძებნაა საჭირო! გვწამს, რომ ასეთი პირი იპოვება ჩვენში, თუ კარგათ მოვძებნით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შევიძლია თან და თან გავაფართოვოთ რძის მეოჯახობა და საკუთარი ხბოების საშუალებით ავიყვანოთ იგი 50—**60 ძროხამდე,** რადგან მამულის სიდიდე და საძოვარის ადგილის სივრცე გვაძლევს ამის ნებას. ამ რიგათ ადვილათ შევიძლია მარტო რძის მეოჯახობით შემოსავალი გავზარდოთ **30.000 მანეთამდე წელიწადში.** ასეთი დიდი ციფრი ოცნება და საამო ზღაპარი არ ეგონოს პატივცემულ მკითხველს. ეს **მოსაზრება რეალ სინამდვილეზეა აგებული.** ამის მაგალითები ბევრია ჩვენშიაც კი, ოღონდ საჭიროა დაკვირვება. აქ არას ვიტყვი იმ დიდ სარგებლობაზე, რაც შეუძლია მოგვიტანოს მებოსტნეობამ, ბაღოსნობამ, მევენახობა-მეღვინეობამ, შინაურ ფრინველის მოშენება და სხ.

ვიმეორებ, **ძროხების ფერმა იქნება ის საძირკველი, რომელზედაც აიგება საგურამოს მამულის და სკოლის კეთილდღეობა.** ამას გვალაპარაკებს საკუთარი გამოცდილება და არა წიგნებში წაკითხული მცნებანი. სასურველია საგურამოს მამულის მართვის საკითხს დაეთმოს ჩვენს პრესაში შესაფერი ადგილი და ფართო საზოგადოებას მიეცეს საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი.

დაქირავებული მუშა ხელით, ქირით აყვანილ მოურავით, ან იჯარით, ეჭვი არაა, მუდამ ზარალი ექნება მამულს ჩვენში, რავინდ კარგი იყოს ეს მამული, მით უმეტეს როცა პატრონი იქვე არა ყავს. საზოგადოთ სოფლის მეურნეობა ისეთი სათუთი რამაა, რომელიც ყველაზე მეტათ თხოულობს პატრონის უნარს და სიახლოვეს, ურომლისოთ მეურნეობა ეცემა, მამული ილუპება, რაც მოხდა კიდეც საგურამოში. ამიტომ კომერციულ ნიადაგზე დამყარებული და ევროპის სამეურნეო ტეხნიკით აღჭურვილი სკოლა ფერმა მისი შეგნებული მეთაურით იქნება ის გონიერი პატრონი, რომელიც ილიას მამულში გაფურჩქნის ინტენსიურ მეურნეობას და შექმნის დიდ შემოსავალს. წ. კ. გამ. საზოგადოების და მთელი ქართველი ერის კანტროლი, მათი ზნეობრივი დახმარება, მეტადრე მასწავლებელ-მოწაფეთა ნივთიერი დაინტერესება ამ მამულის აღორძინებაში იქნება ის საუკეთესო სტიმული, რომელიც ააყვავებს საგურამოს მამულის მეოჯახობას და წარმოშობს დიდ შემოსავალს.

**სიმონ ქვარიანი.**

## პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი**

ოზურგეთში განზრახულია კულტურულ ტეხნიკურ სასწავლებლის გახსნა, რისთვისაც მოლაპარაკება უკვე გამართეს ინჟენერ ძიძიშვილთან. ოზურგეთში შაქარი არ იშოვება.

**ფოთი**

ქალაქის საბჭოს სხდომაზე გადასწყდა კენჭის ყრით კოოპერატივის დუქნის „ეკონომიის" მოქმედების გასაფართოვებლად დაეთმოს სამი დუქანი.

**ახალციხე**

წარსულ თვეში მოხდა ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრება. კრებაზე განხილულ იქმნა წარსულ წლის ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩიეს ახალი თავმჯდომარე, ნაცვლად პ. მეტრეველისა, რომელიც ყვირილაში იქმნა გადაყვანილი. ახალ თავმჯდომარედ არჩეულია ლ. ს. ფირალაშვილი. კრებამ აგრეთვე დაადგინა გაჰმართოს ერთი წარმოდგენა, რომლის შემოსავლითაც სვირიტანისის ქართველ მაჰმადიანთა შორის სკოლა უნდა გაიხსნას, სკოლის გახსნას აპირებენ მომავალ იანვრიდან.

**ბაქო**

ქალაქს ნება დართეს აიღოს 42 მილიონი მან. სესხი ბაქო-შოლარის წყალსადენის გასაკეთებლად.

**ქართლი**

ქართლის სოფლებმა: ისურმა ლუქრუმამ, აზრამ და ბაგეშომ შუამდგომლობა აღძრა, რათა ხსენებულ სოფლებში გაიხსნას სამინისტრო სკოლები.

**სადგ. ბალაჯარა**

12 ამ თვეს სადგურის გასწვრივ საბარგო მატარებლიდან გადმოხტა და ქვეშ მოექცა კონდუქტორი ირ. გულავა. მატარებელმა კონდუქტორი მძიმედ დააშავა.

**ხაშური**

12 ქრისტეშობისთვეს ადგილობრივ თეატრის დარბაზში ლექცია წაიკითხა გრიგოლ ამაღლობელმა „ევროპის ომი და საქართველოს ახალი ეპოქა". ლექციას ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო.

**ყვირილა**

ეს ერთი ხანია გადაუღებლივ წვიმს. შაქარი ყვირილაშიაც არ იშოვება.

**გუდაუთი (სოხუმის ოლქი)**

აქ დიდი სიძვირეა, პურს და შაქარს ხშირად ვერ ვშოულობთ, მეტად გახშირდა ყაჩაღობა.

**ხონი**

ხონის მოწაფეები ხშირად ითრობიან და ქუჩაში ერთ აურ-ზაურს იწევენ, საჭიროა სასწავლებელთა მთავრობამ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

## მუშათა ცხოვრება

17 ქრისტეშობისთვეს მოხდა თბილისის ტრამვაის მოსამსახურეთა კრება. ეს კრება გამოწვეული იყო ტრამვაის ახალ პატრონის ხელში გადასვლის გამო. მოსამსახურეებმა კრებაზე აირჩიეს 24 კაცი, რომელთაც დაევალათ ახალ სატრამვაიო გამგეობასთან საჭირო მოლაპარაკების მოხდენა ბელგიის უსახელო საზოგადოებისგან ანგარიშების გასწორება და ძველ ნამსახურევის ჯილდოს მიღება. ამასთანავე კიდევ აწ ქალაქის ხელში გადასულ ტრამვაის მუშებს ნამუშევარის საფასური ერგებათ ბელგიის საზოგადოებისგან, ამიტომ მუშებმა ხუთი კაცისგან შემდგარი კომისია გაუგზავნა ბ-ნ რასინს, სადაც გამოირკვა, რომ რასინი თანახმა ყოფილა მუშებს გაუსწორდეს ხელშეკრულობის მიხედვით, მაგრამ რადგან ეხლა მას საჭირო ფული ნაღდათ არ აქვს, ამიტომ ქალაქს გადააპირებს. ტრამვაის მუშებს მოსალაპარაკებლად ქალაქის მოურავმა 18 ქრისტეშობისთვისთვის აუდენცია დაუნიშნა.

— ფარსადანოვის სასტუმროში მოსამსახურე მუშები ძლიერ ჩამორჩენილნი და აგრეთვე დამცირებულნი არიან სასტუმროს პატრონისაგან.

— სანაინის მუშათა შორის ფეხი მოიკიდა კარტის თამაშმა და ქეიფმა. ჟურნალ-გაზეთებს ისინი სულ არ კითხულობენ, რისთვისაც შეუგნებლობის გამო ყველასაგან იჩაგრებიან.

**ბათომი.**

აქაურ სასტუმრო „ორიენტალში" მოსამსახურენი გაიფიცნენ, მაგრამ შეკავშირებული ძალის უქონლობის გამო დამარცხდნენ, სასტუმროს პატრონმა ძველი მუშები დაითხოვა და მათ ადგილზე ახლები ჩააყენა.

## სომეხთა ცხოვრება

**სომეხთა მდგომარეობა ოსმალეთში.**

გაზ. ტაიმსს ბალკანეთელი კორესპონდენტი აცნობინებს: ოსმალები განაგრძობენ ადრიანოპოლის ვილაეთში სომეხთა ჟლეტას. ღვინობისთვეში ოსმალეთის მთავრობამ შეიპყრო 45 სომეხი, რომელთაც ბულგარეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. დატუსაღებული სომხები პირველად სტამბოლს ჩაიყვანეს აქედან კი მცირე აზიაში გაჰგზავნეს, მათ შორის 10 გაქცევით უშველა თავს მხოლოდ 35 კი მოკლულ იქმნა.

— ქ. ადრიანოპოლში დაატუსაღეს 1,600 სომეხი ორივე სქესისა, რომელნიც აგრეთვე მცირე აზიაში გაისტუმრეს, გზაში დატუსაღებულთა ორი გემი დაიღუპა და უმეტესი ნაწილი დაიხრჩო.

— ინგლისურ გაზეთის ცნობით, დღემდის ოსმალეთში დაუხოციათ და გაუმაჰმადიანებიათ 835 ათასი სული სომეხი.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა მისტერი ვილსონი და მისტერი გალლი, ამერიკის გამოქცეულ სომეხთა კომიტეტის რწმუნებულნი, სომხური გაზეთები ხსენებულ პირთ დიდის აღტაცებით და მადლობით ეგებებიან.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებას გარდაუწყვეტია: ერთი ვაგონი ფქვილი სურმალინის მაზრაში, ერთი ვაგონი ერივანში და ოთხი ვაგონიც ყარსში გაგზავნონ.

— ყარსიდან გადასახლებულ 57 კაცს, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ თითეულს მათგანს საქველმოქმედო საზოგადოებამ თბილი ტანსაცმელები დაურიგა.

— ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებას გარდაუწყვეტია გაგზავნოს საგანგებო რწმუნებული ოლქამში, 600 ქურქის შესაძენად, რომლებიც ძველად შეძენილ 1000 ქურქს დაემატება და ყარსისა და ბათომის ოლქში ომისაგან დაზარალებულთ დაურიგდებათ.

## რუსეთი

**საპასპორტო წესდება.**

საპოლიციო დეპარტამენტი უკვე შეუდგა ახალ საპასპორტო წესდების შემუშავებას. ამ ახალ კანონ-პროექტის განმარტებით წერილში აღნუსხული იქნება ის აზრი, რომ არსებული საპასპორტო წესდება უკვე ძალიან დაძველდა და აღარ შეეფერება დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებას. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკამ ამ შემთხვევაში დიდი მასალა მოიცა, ასე რომ შესაძლოა ახლა უკვე ბევრი იმ მრავალ დაბრკოლების გაუქმება, რომელიც არსებული საპასპორტო წესდებიდან გამომდინარეობს. რადგან ამ რეფორმის განხორციელებას საჭიროდა სცნობს მინისტრი ხვოსტოვი, გადაწყვეტილა ეს კანონ-პროექტი შეიტანონ სახელმწიფო სათათბიროში მომავალ წლის დასაწყისშივე.

## ამერიკა

**ავსტრია-გერმანეთის შეთქმულობა.**

ამერიკაში ბერნსტორფის მეთაურობით ავსტრია-გერმანეთს შეთქმულობა ჰქონიათ. ექიმ გორიკარის აზრით, რომელსაც ეს შეთქმულობა აღმოუჩენია, ყველა გერმანელი და ავსტრიელი არაფერს არ ზოგავენ, რომ როგორმე შეაჩერონ ფაბრიკები და ქარხნები და ხელი შეუშალონ სამხედრო მასალის დამზადებას მოკავშირეთათვის. თვითონ გორიკარასათვის მიემართნა წინადადებით, რომ მას როგორმე ხელთ ეგდო იმ სიმაგრეების გეგმა, რომლებიც ოკეანეს ნაპირებზე არიან გაშენებული.

გერმანეთს ამ მიზნისთვის დაუხარჯავს უკვე 40 მილ. დოლარი.

ამერიკაში გერმანელებს განზრახვა აქვთ ახლო მომავალში დასწონ აუარებელი ფაბრიკები და ქარხნები. გრაფ ბერნსტორფს გაუგზავნია ყველა შტატებში ბრძანება, სადაც თავის აგენტებს სწერს, რომ მათ უნდა გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება და მათი წარმოება შეაჩერონ.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

**სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ пр Главномъ Управленіи Россійскаг Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლად საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელ მამის სახელი, გვარი და აღნიშნო ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლ და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).



### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.). | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საღ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკებ რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ეკონომია" ა. კალანდაძისა, გობეჩის შესახვევი 4. №